ვებგვერდი, 27/12/2019
სარეგისტრაციო კოდი
230210000.22.033.017274

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №417
2019 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით (ვებგვერდი, 30/08/2019, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.017230) დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №1):

1. 21-ე მუხლის:

ა) მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„ბ) არ არის წარდგენილი ამ მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამატებითი დოკუმენტი ან/და სხვა ინფორმაცია.“;

ბ) მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„12. შემოსავლების სამსახურის უფროსის ან მის მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის ბრძანებით, პირს უვადოდ ენიჭება ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი, მის შესაბამისად გაცემული ავტორიზაცია(ები) და ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ლოგოს (დანართი №1-IV-01) გამოყენების უფლება.“;

გ) მე-13 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. 25-ე მუხლის შემდეგ დაემატოს თანდართული რედაქციის დანართი №1-IV-01.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი *ივანე მაჭავარიანი*

დანართი №1-IV-01 *(27.12.2019 N 417)*

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ლოგო

ლოგოს ძირითადი ნაწილი გამოსახულია ერთმანეთთან შერწყმული და დაკავშირებული ლათინური ანბანის ასოებით - „AEO“, რომელიც ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ლათინური დასახელების („AUTHORISED ECONOMIC OPERATOR“) აბრევიატურას წარმოადგენს. პირველ ლათინურ ასოსთან „A“ ჩართულია სიმბოლოები: ერთი ჰორიზონტალური ხაზი და სამი დახრილი ჯვარი, რომლებიც ერთობლიობაში მოაზრებულია, როგორც საქართველოს სახელმწიფო დროშის გამომსახველი სიმბოლო. სიმბოლოები შესრულებულია წითელი ფერით (ფერის კოდები: RGB 255-0-0; CMYK 0-100-100-0; Pantone 485C; Web №FF0000), რომელიც შეესაბამება საქართველოს სახელმწიფო დროშის ფერს.

სიმბოლოებს ქვევით დაყვება ტექსტი შესრულებული ქართულ და ინგლისურ ენაზე: „ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი. საქართველო“; „AUTHORISED ECONOMIC OPERATOR. GEORGIA“ (ტექსტის შესრულების შრიფტი: Quicksand).

შემოსავლების სამსახური

თბილისი 0114, გორგასლის ქ. 16
ტელ: +995 (32) 226 11 19, +995 (32) 226 11 85
ელ. ფოსტა: info@rs.ge
ვებ საიტი: www.rs.ge
საბაჟო დეპარტამენტი

12243-21-10-2-202002041733

N 21-10/12243

https://edoc.mof.ge/public/#/

04/02/2020

საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს

თავმჯდომარეს ბატონ ელდარ შენგელაიას

ბატონო ელდარ,

გიგზავნით თქვენი 2019 წლის 1 ნოემბრის №52 წერილის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის №417 ბრძანებას „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლითაც დამტკიცებული იქნა ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ლოგო.

დანართი: 2 ფურცელი

პატივისცემით,

მამუკა ჯანგულაშვილი

საბაჟო დეპარტამენტის უფროსი

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი